წინარე ხელშეკრულება

მიწის ნაკვეთის ნასყიდობისა და მისი ღირებულების ნატურით ანაზღაურების შესახებ

მესაკუთრეები

ფიზიკური პირები:

1. ნიკოლოზ ჯორჯანელი პ.ნ. 01024005771

2. დავით მანჯავიძე პ.ნ. 01024019951

3. ვახტანგ დეკანოსიძე პ.ნ. 01007000256

4. გიორგი კიტეიშვილი პ.ნ. 01008001620

5. რუსუდან დოლიძე პ.ნ. 01026006046

6. მაია ბერიაშვილი პ.ნ. 01030026089

7. ირაკლი ბურდული პ.ნ. 01024004992

8. თეა მაჭავარიანი პ.ნ. 01017003017

9. ირაკლი მელქაძე პ.ნ. 01024034777

10. გიორგი გოგავა პ.ნ. 01024007590

11. გიორგი მეტრეველი პ.ნ. 01010006112

და

კომპანია

შპს ნოვო დეველოპმენტი

ს.კ. 405104033

ქ. თბილისი

2015 წელი

წინარე ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ნასყიდობისა და მისი ღირებულების ნატურით ანაზღაურების შესახებ

ქ. თბილისი 23 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ფიზიკური პირები:

	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	მისამართი
1	ნიკოლოზ ჯორჯანელი	01024005771	ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა #8 ბინა 33
2	დავით მანჯავიძე	01024019951	ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქუჩა #16 ბინა 7
3	ვახტანგ დეკანოსიძე	01007000256	ქ. თბილისი, რ. აგლაძის ქუჩა #34 კორპუსი 3 ბინა 27
4	გიორგი კიტეიშვილი	01008001620	ქ. თბილისი, ი. აბაშიძეს ქუჩა # 17 ბინა 1
5	რუსუდან დოლიძე	01026006046	ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძეს ქუჩა, #34, ბინა 34
6	მაია ბერიაშვილი	01030026089	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა #39
7	ირაკლი ბურდული	01024004992	ქ. თბილისი, ზოვრეთის ქუჩა #30
8	თეა მაჭავარიანი	01017003017	ქ. თბილისი, ი. ნიკოლაძის ქუჩა #5ა
9	ირაკლი მელქაძე	01024034777	ქ. თბილისი, ი. ხვიჩიას ქუჩა #14 ბინა 15
10	გიორგი გოგავა	01024007590	ქ. თბილისი, ს. ცინცაძეს ქუჩა # 1 ბინა 9
11	გიორგი მეტრეველი	01010006112	ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, II კვ., კორპუსი 9, ბინა 49

შემდგომში ერთობლივად „მესაკუთრეები"

მეორეს მხრივ, შპს ნოვო დეველოპმენტი (რეგისტრირებული 2015 წლის 04 ივნისს საჯარო რეესტრის მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი 405104033) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი დვალის (პირადი 01019013249) მიერ, შემდგომში „კომპანია"

მესაკუთრეები და კომპანია შემდგომში ორივე ერთად წოდებული როგორც - „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე წინარე ხელშეკრულებას მიწის ნაკვეთის ნასყიდობისა და მისი ღირებულების ნატურით ანაზღაურების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება") და ვთანხმდებით შემდეგზე:

პრეამბულა

გამომდინარე იქიდან, რომ:

ამ ხელშეკრულების გაფორმებით მხარეები ადასტურებენ თავიანთ ნებას, გამომდინარეს მათ მიერ დამოუკიდებლად და ყოველგვარი ხელის შემშლელი თუ კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედების გარეშე მიღებული გადაწყვეტილებებიდან, ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას, გაიზიარონ ამ ხელშეკრულებაში მოცემული პირობები და შეასრულონ ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

მესაკუთრეებს საკუთრებაში გააჩნიათ მიწის ნაკვეთი, რომლის მახასიათებლებიც შემდეგია: მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.14.05.008.218. დაზუსტებული ფართობი: 1779.00 კვ.მ. რომელიც დატვირთულია სერვიტუტის უფლებით თანახმად 23.09.2015წ. ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან (შემდგომში „მიწის ნაკვეთი“);

კომპანიას სურს შეიძინოს მიწის ნაკვეთი 230,000 აშშ დოლარად (შემდგომში „ნასყიდობის ფასი“), რათა აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით და შემდგომ, გადასცეს მესაკუთრეებს ახალ აშენებულ საცხოვრებელ სახლში ფართი აქ მოცემული პირობების შესაბამისად;

მხარეებს აქვთ სრული და შეუზღუდავი უფლება დადონ წინამხებარე ხელშეკრულება მასში განსაზღვრული შინაარსით;

ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში მხარეები არ მიუთითებენ ისეთ გარემოებებზე და მათთვის უცნობია ისეთი გარემოებები, რაც ხელს შეუშლის, დააბრკოლებს ან/და შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და გაზიარებული პირობების შესრულებას;

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე ორმხრივ დაპირებათა და მიღწეულ შეთანხმებათა საფუძველზე, ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები შევთანხმით შემდეგზე:

მუხლი 1 - ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიის მიერ ამ ხელშეკრულების მეორე მუხლით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) სამუშაო დღისა მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გააფორმონ ამ ხელშეკრულების დანართ #1-ში წარმოდგენილი ფორმით ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება (შემდგომში „ძირითადი ხელშეკრულება“), რომლის თანახმად, მესაკუთრეები გაყიდიან, ხოლო კომპანია იყიდის მიწის ნაკვეთს და მიწის ნაკვეთის ღირებულების აზაზღაურება მოხდება კომპანიის მიერ მესაკუთრეებისათვის ძირითად ხელშეკრულებაში მითითებული ფართების გადაცემის გზით.

მუხლი 2 - კომპანიის ვალდებულებები

2.1. კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულების ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან: (ა) 70 კალენდარული დღის ვადაში აიღოს სამშენებლო ნებართვა მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და (ბ) 120 კალენდარული დღის ვადაში აიღოს და წარუდგინოს მესაკუთრეებს სს „ჯი პი აი ჰოლდინგის“ მიერ მესაკუთრეების სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტია ამ ხელშეკრულების დანართ #2-ში მოცემული ფორმით.

2.2. კომპანია ვალდებულია თვითონ გაიღოს ყველა ხარჯით, რაც საჭიროა 2.1 პუნქტში მითითებული ვალდებულებების შესასრულებლად.

2.3. სამშენებლო ნებართვის ასაღებად პროექტის წარდგენამდე, კომპანია ვალდებულია წარუდგინოს პროექტი მესაკუთრეებს. მესაკუთრე(ებ)ს შეუძლია, პროექტის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში, მოითხოვოს 1.2 პუნქტით განსაზღვრული სართულების, სხვა ნებისმიერ სართულის (გარდა 11 და 12 სართულებისა) შესაბამისად დაპროექტება; კომპანია თავად განსაზღვრავს შიდა ტიხრების, სველი და ელექტროწერტილების განლაგებას და თეთრ კარკასში შემავალ ინტერიერის დეტალებს, და წარუდგენს მესაკუთრეებს. თუ ასეთი წარდგენიდან 2 კვირის განმავლობაში მესაკუთრეები წერილობით არ წარუდგენენ შენიშვნებს, “კომპანია“ განახორციელებს ფართების მოწყობას მისი ნახაზის და გადაწყვეტილების შესაბამისად. შენიშვნები არ უნდა იწვევდნენ ინტერიერის მოწყობის ვადის გაძვირებას.

მუხლი 3 - მიწის ნაკვეთზე უფლების წინასწარი რეგისტრაცია

3.1. მიწის ნაკვეთზე კომპანიის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები თანხმდებიან საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად ამ უფლების წინასწარ რეგისტრაციაზე საჯარო რეესტრში, რაც ნიშნავს იმას, რომ მიწის ნაკვეთზე უფლების წინასწარი რეგისტრაცია გამორიცხავს რაიმე სხვა უფლების რეგისტრაციას. უფლების წინასწარი რეგისტრაცია ძალაშია ამ ხელშეკრულების შესაბამისად უფლების რეგისტრაციიდან 150 (ასორმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, რაც ნიშნავს იმას, რომ იმ შემთხვევაში თუ მხარეებმა არ წარუდგინეს საჯარო რეესტრს ძირითადი ხელშეკრულება უფლების რეგისტრაციიდან 150 (ასორმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მიწის ნაკვეთზე უფლების წინასწარი რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება მესაკუთეების განცხადების საფუძველზე კომპანიის ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 4 - მხარეთა წარმომადგენლობები და გარანტიები

4.1. მესაკუთრეების წარმომადგენლობები და გარანტიები ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის:

4.1.1. მესაკუთრეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მას არ აქვს დადებული რაიმე ხელშეკრულება, შეთანხმება ან არა აქვს ნაკისრი წერილობით თუ ზეპირი სახით რაიმე ვალდებულება, რაც თუნდაც უმნიშვნელოდ შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შესრულებას;

4.1.2. მესაკუთრეები გარანტიას იძლევიან და ადასტურებენ, რომ მათ აქვს სრული უფლებამოსილება აღასრულონ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და განახორციელონ ყველა აუცილებელი ქმედება, რაც სამართლებრივად აუცილებელია მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების, გადაცემის და/ან განხორციელებისათვის.

4.1.3. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მესაკუთრეები ადასტურებენ, რომ არ არსებობს კანონი, ხელისუფლების რომელიმე აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, ბრძანებულება ან/და განკარგულება ან სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დაწესებულების გადაწყვეტილება, ან/და ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მიმდინარე ან/და მოსალოდნელი სასამართლო ან საარბიტრაჟო დავა, რომელიც თუნდაც უმნიშვნელო ზეგავლენას მოახდენს ან მოახდენდა ხელშეკრულების მთლიანობაში ან/და მისი ცალკეული დებულების აღსრულებაზე.

4.1.4. მესაკუთრეები გარანტიას იძლევიან და ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალებელ სამართლებრივ დოკუმენტს.

4.2. კომპანიის წარმომადგენლობები და გარანტიები:

4.2.1. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კომპანია ადასტურებს, რომ არ არსებობს კანონი, ხელისუფლების რომელიმე აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, ან სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დაწესებულების გადაწყვეტილება, ან/და ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მიმდინარე ან/და მოსალოდნელი სასამართლო ან საარბიტრაჟო დავა, რომელიც თუნდაც უმნიშვნელო ზეგავლენას მოახდენს ან მოახდენდა ხელშეკრულების მთლიანობაზე ან/და მისი ცალკეული დებულების აღსრულებაზე.

4.2.2. კომპანია გარანტიას იძლევა და ადასტურებს, რომ მას აქვს სრული უფლებამოსილება აღასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და განახორციელოს ყველა აუცილებელი

ქმედება, რაც სამართლებრივად აუცილებელია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების, გადაცემის ან განხორციელებისათვის.

4.2.3. კომპანია ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მას არა აქვს დადებული რაიმე ხელშეკრულება, შეთანხმება ან არა აქვს ნაკისრი წერილობით თუ ზეპირი სახით რაიმე ვალდებულება, რაც თუნდაც უმნიშვნელოდ შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებაში მოცემული ნებისმიერი პირობების შესრულებას.

4.2.4. კომპანია ადასტურებს, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს მისთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალებელ სამართლებრივ დოკუმენტს.

მუხლი 5 - სხვადასხვა

5.1. განმარტების წესები

ამ ხელშეკრულებაში:

5.1.1. მუხლების სათაურები მხოლოდ ხელს უწყობენ სახელშეკრულებო დებულებათა განმარტებას და მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა მთლიანობაში ხელშეკრულების განმარტების დროს არ ენიჭებათ.

5.1.2. ხელშეკრულებაში ნახსენები დანართები, ციტირებები და სხვა დოკუმენტებზე მითითებები წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ და მატერიალურ ნაწილს და მათი განმარტება წარმოებს მხოლოდ ხელშეკრულებასთან ერთობლიობაში.

5.1.3. ხელშეკრულებაში მოცემული ვადის გამოანგარიშება წარმოებს ადგილობრივი (საქართველოს) დროის მიხედვით.

5.1.4. არც ერთი სახელშეკრულებო დებულება, ისევე როგორც ამ დებულებათა შესაძლო ორაზროვნობა, არ უნდა განიმარტოს, როგორც მხარეთა უფლებების შეზღუდვისაკენ ან მათი შეკვეცისაკენ მიმართული.

5.1.5. მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას, იგულისხმება, რომ თითოეული მხარე მოქმედებს კეთილსინდისიერი კომერსანტის ძალისხმევით.

5.1.6. მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერისას ისინი მოქმედებდნენ გონივრული განსჯის შედეგად, წინასწარ გაეცნენ ხელშეკრულების დებულებებს, მათ სრულად ესმით ამ დებულებათა შინაარსი.

5.2. ცვლილებები, შესწორებები და დამატებები

5.2.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში, რომელიც დამოწმებულ უნდა იქნას ნოტარიალურად.

5.3. უფლებაზე უარის თქმა

5.3.1. მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებაზე უარის თქმა ავტომატურად არ ნიშნავს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა უფლებებზე უარის თქმას.

5.3.2. მხარის მიერ უფლებაზე უარის თქმის ყოველი შემთხვევა უნდა დამოწმდეს წერილობითი ფორმით.

5.4. ხელშეკრულების ერთიანობა

5.4.1. ხელშეკრულების ყველა დებულება შეიძლება აღსრულდეს ერთდროულად ან, მხარეთა წინასწარი შეთანხმებით, მისი ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების მიხედვით დროის განსხვავებულ მონაკვეთებში. ამასთანავე, ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების აღსრულების შემთხვევაში, ყოველი ასეთი ნაწილი წარმოადგენს ერთიანი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5.4.2. ხელშეკრულების რომელიმე დებულების იურიდიული ძალის არმქონედ აღიარება ზემოქმედებას არ ახდენს ხელშეკრულების დანარჩენ დებულებათა ქმედითობაზე, თუ ამით ხელშეკრულების მიზანი მაინც მიიღწევა.

5.5. ხელშეკრულების ენა

წინამდებარე ხელშეკრულება შესრულებულია ქართულ ენაზე.

5.6. შეტყობინებები

5.6.1. ხელშეკრულების აღსრულებისათვის ყველა აუცილებელი შეტყობინება მხარეებს მიეწოდება წერილობითი ფორმით:

ა. პირადად, ან

ბ. დაზღვეული ფოსტის მეშვეობით.

5.6.2. ხელშეკრულების აღსრულებისათვის ყველა აუცილებელი შეტყობინება მხარეებს მიეწოდება შემდეგ მისამართებზე:

მესაკუთრეები: ქ. თბილისი, ს. ცინცაძეს ქუჩა # 1 ბინა 9

კომპანია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლ. არდაზიანის ქ. #7

5.7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავათა გადაწყვეტა

5.7.1. ხელშეკრულება განიმარტება და წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

5.7.2. მხარეები მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მათ შორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაწყვიტონ მოლაპარაკებათა გზით.

5.7.3. სადაო საკითხების მოლაპარაკებათა გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება სასამართლო განხილვის გზით საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

5.8. სოლიდარულობა

5.8.1. მესაკუთრეები წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს და სოლიდარულ კრედიტორებს ამ ხელშეკრულებაში მოცემულ მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში. შესრულება ერთ-ერთი მესაკუთრის მიმართ, ნიშნავს შესრულებას ყველა მესაკუთრის მიმართ.

5.8.2. გიორგი გოგავა უფლებამოსილია წარმოადგინოს ყველა მესაკუთრე ან ნებისმიერი მათგანი კომპანიასთან ურთიერთობაში ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და კომპანიისთვის შესასრულებლად სავალდებულო იქნება მხოლოდ მის მიერ წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა ნებისმიერი სხვა მესაკუთრის დამატებითი მოთხოვნის ან თანხმობის წარდგენის გარეშე.

მუხლი 6 - მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის პასუხისმგებლობა:

6.2. ხელშეკრულების 7.3. და/ან 7.4 პუნქტების შესაბამისად სელშეკრულების მოშლისას, კომპანია ვალდებულია მესაკუთრეებს გადაუხადოს პირგასამტეხლო ნასყიდობის ფასის წლიური 8,5%-ის ოდენობით. პირგასამტეხლოს დაანგარიშება უნდა მოხდეს წინამდებარე ხელშეკრულების რეესტრში რეგისტრაციიდან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლების შეწყვეტის რეგისტრაციამდე.

მესაკუთრეების პასუხისმგებლობა:

6.3. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია შეასრულებს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით ნაკისრ ვალდებულებებს სრულად და ჯეროვნად, ხოლო მესაკუთრეები არ მოაწერენ ხელს ძირითად ხელშეკრულებას, ან მიწას აღმოაჩნდება რაიმე სახის უფლებრივი ნაკლი გარდა სერვიტუტის უფლებისა, მესაკუთრეებს ეძლევათ 5 სამუშაო დღის ვადა ნაკლის გამოსასწორებლად ან/და ვალდებულების შესასრულებლად. ნაკლის გამოუსწორებლობის/ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მესაკუთრეები ვალდებულნი არიან, 30 კალენდარული დღის ვადაში, კომპანიას გადაუხადონ ჯარიმა 53,000 (ორმოცდაცამეტი ათასი) ლარის ოდენობით.

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება:

6.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

6.5. დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს. ფორს-მაჟორულ გარემოებად ითვლება, ასევე, მშენებლობაზე გამოცხადებული მორატორიუმი.

6.6. თუ ნებისმიერი ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.

6.7. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

6.8. შეუტყობინებლობა და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.

6.9. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ ან ნორმატიული აქტით.

6.10. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ორ თვეზე მეტხანს მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან კერძო არბიტრაჟი მხარეთა შეთანხმებისამებრ.

მუხლი 7 - ხელშეკრულების მოქმედება. ხელშეკრულების მოშლის წესი.

7.1. ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში მხარეებზე თანაბრად და სრული მოცულობით ვრცელდება მათ მიერ ნაკისრი წარმომადგენლობისა და გარანტიების პირობები.

7.2. კომპანიას უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება, მესაკუთრეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, თუ აღნიშნული დარღვევა არ გამოსწორდება მესაკუთრეების მიერ კომპანიის შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

7.3. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის „ა“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ აღნიშნული დარღვევა არ გამოსწორდება კომპანიის მიერ 10 კალენდარული დღის ვადაში მესაკუთრეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ამ ხელშეკრულების მოშლა.

7.4 კომპანია უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 120 კალენდარული დღის ვადაში, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ამ ხელშეკრულების მოშლა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მესაკუთრეებს და 10 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს 3.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით შეწყვეტის რეგისტრაცია.

მუხლი 8 - სამართალმემკვიდრეობა და უფლებამონაცვლეობა

8.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების დებულებები, ისევე როგორც ამ დებულებებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, აგრეთვე მხარეთა განცხადებები და გარანტიები, სრულად და ცალსახად ვრცელდება მათ (მხარეთა) ნებისმიერ სამართალმემკვიდრესა ან/და უფლებამონაცვლეზე.

მუხლი 9 - დასკვნითი დებულებები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მისი პირობების სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში შესრულებამდე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ და მატერიალურ ნაწილს და მათში მოცემული პირობები აღსრულდება ხელშეკრულების პირობებთან ერთობლიობაში.

9.3. ხელშეკრულება შესრულებულია 3 (სამ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ყოველ მხარეს გადაეცემა ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი და ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციისათვის.

ადასტურებენ რა ზემოაღნიშნულს, მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას იმ დღესა და იმ წელს, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დასაწყისში.

ხარეთა რეკვიზიტები

ვესაკუთრეები

ვიზიკური პირები:

. ნიკოლოზ ჯორჯანელი პ.ნ. 01024005771

ნიკოლოზ ჯორჯანელი

. დავით მანჯავიძე პ.ნ. 01024019951

დავით მანჯავიძე

. ვახტანგ დეკანოსიძე პ.ნ. 01007000256

. გიორგი კიტეიშვილი პ.ნ. 01008001620

. რუსუდან დოლიძე პ.ნ. 01026006046

რუსუდან დოლიძე

. მაია ბერიაშვილი პ.ნ. 01030026089

მაია ბერიაშვილი

. ირაკლი ბურდული პ.ნ. 01024004992

. თეა მაჭავარიანი პ.ნ. 01017003017

თეა მაჭავარიანი

. ირაკლი მელქაძე პ.ნ. 01024034777

. გიორგი გოგავა პ.ნ. 01024007590

. გიორგი მეტრეველი პ.ნ. 01010006112

კომპანია

შპს ნოვო დეველოპმენტი

ს.კ. 405104033

ირაკლი დვალი

დირექტორი

დანართი #1

ძირითადი ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება

მიწის ნაკვეთის ნასყიდობისა და მისი ღირებულების ნატურით ანაზღაურების შესახებ

მესაკუთრეები

ფიზიკური პირები:

1. ნიკოლოზ ჯორჯანელი პ.ნ. 01024005771

2. დავით მანჯავიძე პ.ნ. 01024019951

3. ვახტანგ დეკანოსიძე პ.ნ. 01007000256

4. გიორგი კიტეიშვილი პ.ნ. 01008001620

5. რუსუდან დოლიძე პ.ნ. 01026006046

6. მაია ბერიაშვილი პ.ნ. 01030026089

7. ირაკლი ბურდული პ.ნ. 01024004992

8. თეა მაჭავარიანი პ.ნ. 01017003017

9. ირაკლი მელქაძე პ.ნ. 01024034777

10. გიორგი გოგავა პ.ნ. 01024007590

11. გიორგი მეტრეველი პ.ნ. 01010006112

და

კომპანია

შპს ნოვო დეველოპმენტი

ს.კ. 405104033

ქ. თბილისი

() წელი

ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ნასყიდობისა და მისი ღირებულების ნატურით ანაზღაურების შესახებ

ქ. თბილისი — _____ _____ წელი

ერთის მხრივ, ფიზიკური პირები:

	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	მისამართი
1	ნიკოლოზ ჯორჯანელი	01024005771	ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა #8 ბინა 33
2	დავით მანჯავიძე	01024019951	ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქუჩა #16 ბინა 7
3	ვახტანგ დეკანოსიძე	01007000256	ქ. თბილისი, რ. აგლაძის ქუჩა #34 კორპუსი 3 ბინა 27
4	გიორგი კიტეიშვილი	01008001620	ქ. თბილისი, ი. აბაშიძეს ქუჩა # 17 ბინა 1
5	რუსუდან დოლიძე	01026006046	ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძეს ქუჩა, #34, ბინა 34
6	მაია ბერიაშვილი	01030026089	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა #39
7	ირაკლი ბურდული	01024004992	ქ. თბილისი, ზოვრეთის ქუჩა #30
8	თეა მაჭავარიანი	01017003017	ქ. თბილისი, ი. ნიკოლაძის ქუჩა #5ა
9	ირაკლი მელქაძე	01024034777	ქ. თბილისი, ი. ხვიჩიას ქუჩა #14 ბინა 15
10	გიორგი გოგავა	01024007590	ქ. თბილისი, ს. ცინცაძეს ქუჩა # 1 ბინა 9
11	გიორგი მეტრეველი	01010006112	ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, II კვ., კორპუსი 9, ბინა 49

შემდგომში ერთობლივად „მესაკუთრეები“,

მეორეს მხრივ, შპს ნოვო დეველოპმენტი (რეგისტრირებული 2015 წლის 04 ივნისს საჯარო რეესტრის მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი 405104033) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი დვალის (პირადი 01019013249) მიერ, შემდგომში „კომპანია“ ,

შემდგომში ორივე ერთად წოდებული როგორც - „მხარეები“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას მიწის ნაკვეთის ნასყიდობისა და მისი ღირებულების ნატურით ანაზღაურების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“) და ვთანხმდებით შემდეგზე:

პრეამბულა

გამომდინარე იქიდან, რომ:

მხარეებს შორის 23.10.2015წ. დადებული წინარე ხელშეკრულების შესაბამისად, მხარეებმა იკისრეს ვალდებულება გაეფორმებინათ ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებისას;

მხარეები ადასტურებენ, რომ წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები შესრულდა და ამდენად, გამოთქვამენ მზადყოფნას გააფორმონ წინამდებარე ხელშეკრულება;

ამ ხელშეკრულების გაფორმებით მხარეები ადასტურებენ თავიანთ ნებას, გამომდინარეს მათ მიერ დამოუკიდებლად და ყოველგვარი ხელის შემშლელი თუ კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედების გარეშე მიღებული გადაწყვეტილებებიდან, ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას, გაიზიარონ ამ ხელშეკრულებაში მოცემული პირობები და შეასრულონ ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

მხარეებს აქვთ სრული და შეუზღუდავი უფლება დადონ წინამხებარე ხელშეკრულება მასში განსაზღვრული შინაარსით;

ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში მხარეები არ მიუთითებენ ისეთ გარემოებებზე და მათთვის უცნობია ისეთი გარემოებები, რაც ხელს შეუშლის, დააბრკოლებს ან/და შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და გაზიარებული პირობების შესრულებას;

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე ორმხრივ დაპირებათა და მიღწეულ შეთანხმებათა საფუძველზე, ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები შეთანხმით შემდეგზე:

ტერმინთა განმარტებები:

- *ფართი/ფართები:* საცხოვრებელი და კომერციული ფართები ხელშეკრულების 2.2 პუნქტის შესაბამისად;
- *საცხოვრებელი ფართი:* საცხოვრებელ სართულზე არსებული მთლიანი ფართი შიდა პერიმეტრზე, გამოკლებული საერთო სარგებლობის ფართები (სადარბაზოს, კიბის უჯრედის და ლიფტის შახტისთვის გამოყოფილი ფართები) და მისი გამომყოფი კედლები (ის ფართი რომელზეც დგას კედელი);
- *კომერციული ფართი:* კომერციული ფართებისათვის განკუთვნილ სართულზე მთლიანი ფართი შიდა პერიმეტრზე გამოკლებული საერთო სარგებლობის ფართები (სადარბაზოს, კიბის უჯრედის და ლიფტის შახტისთვის გამოყოფილი ფართები) და მისი გამომყოფი კედლები (ის ფართი რომელზეც დგას კედელი);
- *თეთრი კარკასი:*
  - ბინის კონტურის კედლები;
  - ჭერის სიმაღლე: არანაკლებ 2.95 მეტრი;
  - ამოყვანილი ბინის შიდა (ოთახშორისი) ტიხრები 10სმ მლოკით;
  - ბინის შიდა კედლები და ტიხრები გალესილი გაჯით (გარდა სველი წერტილების ადგილებისა);
  - გაზის მილი მიყვანილი ბინაში სამზარეულოს სივრცემდე (შენიშვნა: ბინაში გაზის შეჭრას და მრიცხველის დაყენებას უზრუნველყოფს მესაკუთრე); გაზიფიკაციის ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით, აღნიშნული პუქნტი შესაძლებელია დაკორექტირდეს;
  - ელ. გაყვანილობა ბინაში (წერტილების რაოდენობა იხილეთ დანართ #1-ში), ელ.გაყვანილობის გამანაწილებელი კოლოფები მონტაჟდება ჭერზე;
  - ჩართული საკომუნიკაციო ქსელები (ელექტროობა, ცივი წყალი, კანალიზაცია); შენიშვნა: ვენტილაციის და კანალიზაციის მილები მიყვანილი იქნება მხოლოდ ბინაში არსებულ შახტებში და არ იგულისხმება მათი მიყვანა კომპანიის მიერ მითითებულ კონკრეტულ წერტილებამდე);
  - ცივი და ცხელი წყლის მილები მიყვანილი იქნება გათბობის ქვაბის წერტილან და სველ წერტილებში, რომლებიც უნდა განთავსდეს მხოლოდ შახტებთან;
  - იატაკის მოჭიმვა (გარდა აბაზანისა და ტუალეტის ოთახებისა);
  - მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა (ორმაგი შუშით), შენიშვნა: ორფრთიანი ფანჯრის/კარის შემთხვევაში იღება მხოლოდ ერთი ფანჯარა/კარი ერთი მიმართულების გაღებით;
  - მოჭიმვაში გატარებული გათბობის მილები;
  - ბინის რკინის კარი საკეტით; (საკეტის შეცვლა რეკომენდირებულია ბინის კომპანიაზე ჩაბარების შემდეგ);

- ლიფტი;
- მოწესრიგებული სადარბაზო, ფასადი და სახურავი;

➢ *მიწა*: მიწის ნაკვეთი ხელშეკრულების 1.1. პუნქტის შესაბამისად;

➢ ათვლის წერტილი: მიწაზე კომპანიის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომდევნო კალენდარული დღე.

მუხლი 1 - ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრეებმა გაყიდეს, ხოლო კომპანიამ იყიდა მესაკუთრეების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთი შემდეგი მახასიათებლებით: მიწის საკადასტრო კოდი: 01.14.05.008.218, დაზუსტებული ფართობი: 1779.00 კვ.მ. მისამართი: თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N12, რომელიც დატვირთულია სერვიტუტის უფლებით (შემდგომში - მიწა);

მიწის საკუთრებაში გადაცემასთან ერთად კომპანიის საკუთრებაში გადადის მასზე არსებული ყველა ნებართვა და ლიცენზია.

1.2. მიწის სანაცვლოდ, კომპანია საკუთრებაში გადასცემს მესაკუთრეებს ხელშეკრულების 2.2. პუნქტში გათვალისწინებულ ფართებს.

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში შეასრულებენ ამ მუხლით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 2 - მიწის ღირებულება და სანაცვლო ქონება

2.1. მიწის ღირებულება შეადგენს 230 000 (ორას ოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარს (შემდგომში მიწის ღირებულება.)

2.2. მიწის ღირებულების სანაცვლოდ კომპანია გადასცემს მესაკუთრეებს საკუთრებაში ხელშეკრულების დანართ #2-ში მითითებულ ფართებს.

2.3. გადასაცემ ფართებზე, საჯარო რეესტრში მესაკუთრეების საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოხდება მშენებარე სტატუსით, მიწის კომპანიის საკუთრებაში რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში. საკუთრების უფლების რეგისტრაციის დროისთვის ფართების ნაწილი, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დანართ #2-ში დატვირთული იქნება იპოთეკით სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ სასარგებლოდ. ფართებს არ ექნებათ სხვა უფლებრივი დატვირთვა გარდა ზემოაღნიშნულისა.

2.4. კომპანიის 2.3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, თუ მესაკუთრეები (ან რომელიმე მათგანი) უარს განაცხადებენ ფართებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტის ხელმოწერაზე და კომპანია შესაბამის მესაკუთრეს წარუდგენს მის მიერ ცალმხრივად ხელმოწერილ ასეთ დოკუმენტს (ხელმოწერა სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული).

მუხლი 3 - სხვა ვალდებულებები

3.1. კომპანია ვალდებულია:

ა) ათვლის წერტილიდან 20 თვის ვადაში უზრუნველყოს მშენებლობის დასრულება, საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართების გადაცემა მესაკუთრეებზე თეთრ კარკასულ მდგომარეობაში;

ბ) განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად:

	სამუშაოების შუალედური ეტაპი	სამშენებლო გრაფიკით გათვალისწინებული ვადა
1	წულოვანსა და პირველ სართულს შორის ფილის დასხმა	ათვლის წერტილიდან 6 თვე
2	მე-3 და მე-4 სართულებს შორის ფილის დასხმა	ათვლის წერტილიდან 9 თვე
3	მე-6 და მე-7 სართულებს შორის ფილის დასხმა	ათვლის წერტილიდან 12 თვე
4	მე-9 და მე-10 სართულებს შორის ფილის დასხმა	ათვლის წერტილიდან 15 თვე

გ) საცხორებელი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა უზრუნველყოს იპოთეკით დატვირთულ ფართებზე სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპაი ჰოლდინგის“ სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლებების ან კომპანიის მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებული ნებისმიერი სხვა უფლებების ან ვალდებულებების გაუქმება.

3.2. მიწის კომპანიის საკუთრებაში რეგისტრაციასთან ერთად კომპანია უფლებამოსილია მიწა დატვირთოს იპოთეკით გარანტიების უზრუნველსაყოფად სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპაი ჰოლდინგის“ სასარგებლოდ.

3.3. მიწის საკუთრებაში გადაცემის მომენტში მიწა თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლისგან გარდა სერვიტუტის უფლებისა.

მუხლი 4 - მხარეთა წარმომადგენლობები და გარანტიები

<u>4.1. მესაკუთრეების წარმომადგენლობები და გარანტიები ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის:</u>

4.1.1. მესაკუთრეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მათ არ აქვთ დადებული რაიმე ხელშეკრულება, შეთანხმება ან არა აქვთ ნაკისრი წერილობით თუ ზეპირი სახით რაიმე ვალდებულება, რაც თუნდაც უმნიშვნელოდ შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შესრულებას;

4.1.2. მესაკუთრეები გარანტიას იძლევიან და ადასტურებენ, რომ მათ აქვთ სრული უფლებამოსილება აღასრულონ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და განახორციელონ ყველა აუცილებელი ქმედება, რაც სამართლებრივად აუცილებელია მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების, გადაცემის და/ან განხორციელებისათვის.

4.1.3. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მესაკუთრეები ადასტურებენ, რომ არ არსებობს კანონი, ხელისუფლების რომელიმე აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, ბრძანებულება ან/და განკარგულება ან სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დაწესებულების გადაწყვეტილება, ან/და ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მიმდინარე ან/და მოსალოდნელი სასამართლო ან საარბიტრაჟო დავა, რომელიც თუნდაც უმნიშვნელო ზეგავლენას მოახდენს ან მოახდენდა ხელშეკრულების მთლიანობაში ან/და მისი ცალკეული დებულების აღსრულებაზე.

4.1.4. მესაკუთრეები გარანტიას იძლევიან და ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალებელ სამართლებრივ დოკუმენტს.

4.2. კომპანიის წარმომადგენლობები და გარანტიები;

4.2.1. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კომპანია ადასტურებს, რომ არ არსებობს კანონი, ხელისუფლების რომელიმე აქტი, გადაწყვეტილება, ან/და დადგენილება, ან სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დაწესებულების გადაწყვეტილება, ან/და ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მიმდინარე ან/და მოსალოდნელი სასამართლო ან საარბიტრაჟო დავა, რომელიც თუნდაც უმნიშვნელო ზეგავლენას მოახდენს ან მოახდენდა ხელშეკრულების მთლიანობაზე ან/და მისი ცალკეული დებულების აღსრულებაზე.

4.2.2. კომპანია გარანტიას იძლევა და ადასტურებს, რომ მას აქვს სრული უფლებამოსილება აღასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რაც სამართლებრივად აუცილებელია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების, გადაცემის ან განხორციელებისათვის.

4.2.3. კომპანია ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მას არა აქვს დადებული რაიმე ხელშეკრულება, შეთანხმება ან არა აქვს ნაკისრი წერილობით თუ ზეპირი სახით რაიმე ვალდებულება, რაც თუნდაც უმნიშვნელოდ შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებაში მოცემული ნებისმიერი პირობების შესრულებას.

4.2.4. კომპანია ადასტურებს, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს მისთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალებელ სამართლებრივ დოკუმენტს.

მუხლი 5 - სხვადასხვა

5.1. განმარტების წესები

ამ ხელშეკრულებაში:

5.1.1. მუხლების სათაურები მხოლოდ ხელს უწყობენ სახელშეკრულებო დებულებათა განმარტებას და მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა მთლიანობაში ხელშეკრულების განმარტების დროს არ ენიჭებათ.

5.1.2. ხელშეკრულებაში ნახსენები დანართები, ციტირებები და სხვა დოკუმენტებზე მითითებები წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ და მატერიალურ ნაწილს და მათი განმარტება წარმოებს მხოლოდ ხელშეკრულებასთან ერთობლიობაში.

5.1.3. ხელშეკრულებაში მოცემული ვადის გამოანგარიშება წარმოებს ადგილობრივი (საქართველოს) დროის მიხედვით.

5.1.4. არც ერთი სახელშეკრულებო დებულება, ისევე როგორც ამ დებულებათა შესაძლო ორაზროვნობა, არ უნდა განიმარტოს, როგორც მხარეთა უფლებების შეზღუდვისაკენ ან მათი შეკვეცისაკენ მიმართული.

5.1.5. მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას, იგულისხმება, რომ თითოეული მხარე მოქმედებს კეთილსინდისიერი კომერსანტის ძალისხმევით.

5.1.6. მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერისას ისინი მოქმედებდნენ გონივრული განსჯის შედეგად, წინასწარ გაეცნენ ხელშეკრულების დებულებებს, მათ სრულად ესმით ამ დებულებათა შინაარსი.

5.2. ცვლილებები, შესწორებები და დამატებები

5.2.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში, რომელიც დამოწმებულ უნდა იქნას ნოტარიალურად.

5.3. უფლებაზე უარის თქმა

5.3.1. მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებაზე უარის თქმა ავტომატურად არ ნიშნავს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა უფლებებზე უარის თქმას.

5.3.2. მხარის მიერ უფლებაზე უარის თქმის ყოველი შემთხვევა უნდა დამოწმდეს წერილობითი ფორმით.

5.4. ხელშეკრულების ერთიანობა

5.4.1. ხელშეკრულების ყველა დებულება შეიძლება აღსრულდეს ერთდროულად ან, მხარეთა წინასწარი შეთანხმებით, მისი ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების მიხედვით დროის განსხვავებულ მონაკვეთებში. ამასთანავე, ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების აღსრულების შემთხვევაში, ყოველი ასეთი ნაწილი წარმოადგენს ერთიანი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5.4.2. ხელშეკრულების რომელიმე დებულების იურიდიული ძალის არმქონედ აღიარება ზემოქმედებას არ ახდენს ხელშეკრულების დანარჩენ დებულებათა ქმედითობაზე, თუ ამით ხელშეკრულების მიზანი მაინც მიიღწევა.

5.5. ხელშეკრულების ენა

წინამდებარე ხელშეკრულება შესრულებულია ქართულ ენაზე.

5.6. შეტყობინებები

5.6.1. ხელშეკრულების აღსრულებისათვის ყველა აუცილებელი შეტყობინება მხარეებს მიეწოდება წერილობითი ფორმით:

ა. პირადად, ან

ბ. დაზღვეული ფოსტის მეშვეობით.

5.6.2. ხელშეკრულების აღსრულებისათვის ყველა აუცილებელი შეტყობინება მხარეებს მიეწოდება შემდეგ მისამართებზე:

მესაკუთრეები: ქ. თბილისი, ს. ცინცაძეს ქუჩა # 1 ბინა 9

კომპანია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლ.არდაზიანის ქ. #7

5.7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავათა გადაწყვეტა

5.7.1. ხელშეკრულება განიმარტება და წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

5.7.2. მხარეები მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მათ შორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაწყვიტონ მოლაპარაკებათა გზით.

5.7.3. სადაო საკითხების მოლაპარაკებათა გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება სასამართლო განხილვის გზით საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

5.8. სოლიდარულობა

5.8.1. მესაკუთრეები წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს და სოლიდარულ კრედიტორებს ამ ხელშეკრულებაში მოცემულ მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში. შესრულება ერთ-ერთი მესაკუთრის მიმართ, ნიშნავს შესრულებას ყველა მესაკუთრის მიმართ.

5.8.2. გიორგი გოგავა უფლებამოსილია წარმოადგინოს ყველა მესაკუთრე ან ნებისმიერი მათგანი კომპანიასთან ურთიერთობაში ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ამ ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის საჭირო საჯარო რეესტრში წარსადგენი განცხადების ხელმოწერის გარდა და კომპანიისთვის შესასრულებლად სავალდებულო იქნება მხოლოდ მის მიერ წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა ნებისმიერი სხვა მესაკუთრის დამატებითი მოთხოვნის ან თანხმობის წარდგენის გარეშე.

მუხლი 6 - მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის პასუხისმგებლობა:

6.2.1. ხელშეკრულების 2.3 და/ან 3.1 „ბ“ და „გ“ პუნქტებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას კომპანია ვალდებულია მესაკუთრეებს გადაუხადოს პირგასამტეხლო მიწის ღირებულების წლიური 8,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კომპანიას ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

6.2.2. ხელშეკრულების 3.1 „ა“ პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია გადაუხადოს მესაკუთრეებს პირგასამტეხლო მიწის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.2.3. კომპანიის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მიწის ღირებულების 10%-ს.

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება:

6.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

6.4. დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს. ფორს-მაჟორულ გარემოებად ითვლება, ასევე, მშენებლობაზე გამოცხადებული მორატორიუმი.

6.5. თუ ნებისმიერი ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.

6.6. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

6.7. შეუტყობინებლობა და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.

6.8. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ ან ნორმატიული აქტით.

6.9. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ორ თვეზე მეტხანს მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან კერძო არბიტრაჟი მხარეთა შეთანხმებისამებრ.

მუხლი 7 - ხელშეკრულების მოქმედება.

7.1. ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში მხარეებზე თანაბრად და სრული მოცულობით ვრცელდება მათ მიერ საკისრი წარმომადგენლობისა და გარანტიების პირობები.

მუხლი 8 - სამართალმემკვიდრეობა და უფლებამონაცვლეობა

8.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების დებულებები, ისევე როგორც ამ დებულებებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, აგრეთვე მხარეთა განცხადებები და გარანტიები, სრულად და ცალსახად ვრცელდება მათ (მხარეთა) ნებისმიერ სამართალმემკვიდრესა ან/და უფლებამონაცვლეზე.

მუხლი 9 - დასკვნითი დებულებები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მისი პირობების სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში შესრულებამდე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ და მატერიალურ ნაწილს და მათში მოცემული პირობები აღსრულდება ხელშეკრულების პირობებთან ერთობლიობაში.

9.3. ხელშეკრულება შესრულებულია რამდენიმე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ყოველ მხარეს გადაეცემა ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი და ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციისათვის.

ადასტურებენ რა ზემოაღნიშნულს, მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას იმ დღესა და იმ წელს, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დასაწყისში.

მხარეთა რეკვიზიტები

მესაკუთრეები

ფიზიკური პირები:

1. ნიკოლოზ ჯორჯანელი პ.ნ. 01024005771

2. დავით მაწკავიძე პ.ნ. 01024019951

3. ვახტანგ დეკანოსიძე პ.ნ. 01007000256

კომპანია

შპს ნოვო დეველოპმენტი

ს.კ. 405104033

ირაკლი დვალი

დირექტორი

4. გიორგი კიტეიშვილი პ.ნ. 01008001620

_____

5. რუსუდან დოლიძე პ.ნ. 01026006046

_____

6. მაია ბერიაშვილი პ.ნ. 01030026089

_____

7. ირაკლი ბურდული პ.ნ. 01024004992

_____

8. თეა მაჭავარიანი პ.ნ. 01017003017

_____

9. ირაკლი მელქაძე პ.ნ. 01024034777

_____

10. გიორგი გოგავა პ.ნ. 01024007590

_____

11. გიორგი მეტრეველი პ.ნ. 01010006112

_____

დანართი №1

მთავარი სანკვანძე

№	დასახელება	რაოდ	დამატებით ინფორმაცია
1	ჭაღი	1	
2	ვენტილატორი	1	
3	ბრა	1	
4	საჰარსის შტეფსელი	1	
5	წყლის ბაკის შტეფსელი	1	
6	სარეცხი მანქანის შტეპსელი	1	
	სულ	6	წერტილი

დამხმარე სანკვანძე

№	დასახელება	რაოდ	დამატებით ინფორმაცია
1	ჭაღი	1	
2	ვენტილატორი	1	
3	ბრა	1	
	სულ	3	წერტილი

მთავარი საძინებელი

№	დასახელება	რაოდ	დამატებით ინფორმაცია
1	ჭაღი	1	
2	ბრა	2	საწოლთან
3	შტეფსელი	2	საწოლთან
4	შტეფსელი	1	საწოლის მოპირდაპირე კედელთან
	სულ	6	წერტილი

მეორე საძინებელი

№	დასახელება	რაოდ	დამატებით ინფორმაცია
1	ჭაღი	1	
2	ბრა	1	საწოლთან
3	შტეფსელი	2	საწოლთან
	სულ	4	წერტილი

საერთო ოთახი

№	დასახელება	რაოდ	დამატებით ინფორმაცია
1	ჭაღი	2	15 მ2-მდე 1 წერტილი
2	შტეფსელი	4	ოთახის კედელზე
3	ინტერნეტის წერტილი	1	ტელევიზორთან
4	კონდიციონერის ჩამრთველი	1	
	სულ	8	წერტილი

ჰოლი

№	დასახელება	რაოდ	დამატებით ინფორმაცია
1	ჭაღი	1	
2	შტეფსელი	1	
3	ზარი	1	
	სულ	3	წერტილი

სამზარეულო

№	დასახელება	რაოდ	დამატებით ინფორმაცია
1	ჭაღი	1	
2	ბრა	1	მაცივართან
3	შტეფსელი	3	აგიდასთან და სამზარეულოს "დანადგარებთან"
4	მაცივარი	1	
5	ვენტილატორი ან გამწოვი	1	
6	დიდი კვეთის შტეპსელი	3	ღუმელი, თერმექსი, გათბობის სისტემა
	სულ	10	წერტილი

აივანი

№	დასახელება	რაოდ	დამატებით ინფორმაცია
1	ბრა	1	
	სულ	1	წერტილი

1. დავით მანჯავიძე
2. გიორგი გოგავა *
3. ნიკოლოზ ჯორჯანელი
4. ნიკოლოზ ჯორჯანელი



- 2 სარტული



-1 სართული

5. გიორგი კიტეიშვილი
6. რუსუდან დოლიძე
7. მაია ბერიაშვილი



8. ირაკლი ბურდული
9. თეა მაჭავარიანი
10. ირაკლი მელქაძე
11. გიორგი მეტრეველი

0 სართული



1სართული

საცხოვრებელი ფართი 501.7

საზაფხულო ფართი 82.8



1. გიორგი გოგავა * (იპოთეკა)
2. დავით მანჯავიძე
3. ნიკოლოზ ჯორჯანელი (იპოთეკა)
4. დავით მანჯავიძე
5. გიორგი კიტეიშვილი (იპოთეკა)

საცხოვრებელი ფართი 501.7

საზაფხულო ფართი 86.5

2 სართული



საცხოვრებელი ფართი 501.7

საზაფხულო ფართი 90.2



4 სართული

საცხოვრებელი ფართი 501.7

საზაფხულო ფართი 93.9



6. გიორგი კიტეიშვილი (იპოთეკა)
7. რუსუდან დოლიძე (იპოთეკა)
8. ირაკლი ბურდული (იპოთეკა)
9. ირაკლი მელქაძე (იპოთეკა)

საცხოვრებელი ფართი 501.7

საზაფხულო ფართი 97.6

5 სართული



საცხოვრებელი ფართი 501.7

საზაფხულო ფართი 101.3

6 სართული



10. ირაკლი მელქაძე
11. თეა მაჭავარიანი

საცხოვრებელი ფართი 501.7

საზაფხულო ფართი 105

7 სართული



12. ირაკლი ბურდული
13. გიორგი მეტრეველი
14. მაია ბერიაშვილი

საცხოვრებელი ფართი 501.7
საზაფხულო ფართი 108.7

8 სართული



9 სართული

საცხოვრებელი ფართი 501.7

საზაფხულო ფართი 112.4



15. გიორგი მეტრეველი
16. გიორგი გოგავა (იპოთეკა)

საცხოვრებელი ფართი 501.7
საზაფხულო ფართი 116.1

10 სართული



11 სართული

საცხოვრებელი ფართი 390.6

საზაფხულო ფართი 283.5



17. ვახტანგ დეკანოსიძე

12 სართული

საცხოვრებელი ფართი 265.5

საზაფხულო ფართი 189.6



დანართი #2
საბანკო გარანტია # []

გარანტი: სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი (ს/კ 204426674)

ბენეფიციარები:

	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	მისამართი
1	ნიკოლოზ ჯორჯანელი	01024005771	ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა #8 ბინა 33
2	დავით მანჯავიძე	01024019951	ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქუჩა #16 ბინა 7
3	ვახტანგ დეკანოსიძე	01007000256	ქ. თბილისი, რ. აგლაძის ქუჩა #34 კორპუსი 3 ბინა 27
4	გიორგი კიტეიშვილი	01008001620	ქ. თბილისი, ი. აბაშიძეს ქუჩა # 17 ბინა 1
5	რუსუდან დოლიძე	01026006046	ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძეს ქუჩა, #34, ბინა 34
6	მაია ბერიაშვილი	01030026089	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა #39
7	ირაკლი ბურდული	01024004992	ქ. თბილისი, ზოვრეთის ქუჩა #30
8	თეა მაჭავარიანი	01017003017	ქ. თბილისი, ი. ნიკოლაძის ქუჩა #5ა
9	ირაკლი მელქაძე	01024034777	ქ. თბილისი, ი. ხვიჩიას ქუჩა #14 ბინა 15
10	გიორგი გოგავა	01024007590	ქ. თბილისი, ს. ცინცაძეს ქუჩა # 1 ბინა 9
11	გიორგი მეტრეველი	01010006112	ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, II კვ., კორპუსი 9, ბინა 49

პრინციპალი: შპს ნოვო დეველოპმენტი (ს/კ 405104033)

მაქსიმალური საგარანტიო თანხა: 230,000.00 (ორასოცდაათი ათასი) დოლარი

გარანტისათვის ცნობილია, რომ ბენეფიციარებს და პრინციპალს შორის 23.10.2015წ. გაფორმებულია ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების (შემდგომში „ძირითადი ხელშეკრულება“) პირობები, კერძოდ ბენეფიციარების მიერ პრინციპალისთვის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ პრინციპალმა ბენეფიციარების წინაშე იკისრა შემდეგი ვალდებულებები:

(ა) პრინციპალის მიერ ბენეფიციარებისათვის, ქ. თბილისში, ა.პოლიტკოვსკაიას ქ. #12-ში ახალ საცხოვრებელ სახლში (შემდგომში „საცხოვრებელი სახლი“) დანართ #3-ის შესაბამისად არსებული საცხოვრებელი/არასაცხოვრებელი ფართ(ებ)ზე (შემდგომში „ფართები“)საკუთრების უფლების რეგისტრაცია მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.14.05.008.218 პრინციპალის საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან (შემდგომში „ათვლის წერტილი“) არაუგვიანეს 1 თვისა;

(ბ) საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების წარმოება ქვემოთ მოცემული გრაფიკის (შემდგომში „გრაფიკი“) შესაბამისად:

	სამუშაოების შუალედური ეტაპი	სამშენებლო გრაფიკით გათვალისწინებული ვადა
1	ნულოვანსა და პირველ სართულს შორის ფილის დასხმა	ათვლის წერტილიდან 6 თვე
2	მე-3 და მე-4 სართულებს შორის ფილის დასხმა	ათვლის წერტილიდან 9 თვე
3	მე-6 და მე-7 სართულებს შორის ფილის დასხმა	ათვლის წერტილიდან 12 თვე
4	მე-9 და მე-10 სართულებს შორის ფილის დასხმა	ათვლის წერტილიდან 15 თვე

(გ) საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება, ექსპლუატაციაში გაშვება და ფართების გადაცემა ბენეფიციარებზე თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ათვლის წერტილიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული თვისა; და

(დ) იპოთეკით დატვირთულ ფართებზე გარანტის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლებების გაუქმება საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.

პრინციპალის მიერ ბენეფიციარებისათვის საკუთრებაში გადასაცემი ფართების მახასიათებლები მოცემულია დანართ #3-ში.

1. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი კისრულობს ვალდებულებას, ბენეფიციარების წერილობითი მოთხოვნისა და ამ საბანკო გარანტიაში მითითებული ყველა დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის მანძილზე აანაზღაუროს თანხა, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე საბანკო გარანტიის წერილით დადგენილი ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი ბენეფიციარების წინაშე ვერ შეასრულებს მის მიერ ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას, კერძოდ:

ა) ათვლის წერტილიდან 1 თვის ვადაში არ გადაუფორმებს ბენეფიციარებს ფართებს როგორც ეს განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულებით ან არ წარუდგენს მათ მისი მხრიდან ცალმხრივად ხელმოწერილ დოკუმენტ(ებ)ს (ხელმოწერა სანოტარო წესით დამოწმებული), რაც საჭიროა ფართებზე ბენეფიციარების საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის;

ბ) დაარღვევს გრაფიკს;

გ) ათვლის წერტილიდან 20 კალენდარული თვის ვადაში არ უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებას, ექსპლუატაციში მიღებას და ფართების გადაცემას ბენეფიციარებზე თეთრ კარკასულ მდგომარეობაში;

